

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ
ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის

სამოქალაქო განათლება

სამოქალაქო განათლების ჯგუფი

@ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

სარჩევი

შესავალი	4
სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამა	5
ტესტური დავალებების აღწერილობა და ნიმუშები	10
ტესტის ნიმუში, შეფასების სქემა და პასუხების ფურცელი	44

შესავალი

კრებული შედგენილია მათთვის, ვინც ახარებს სამოქალაქო განათლების ერთიან ეროვნულ გამოცდას. კრებულში მოცემულია გამოცდის მოთხოვნები, საგამოცდო პროგრამა, ტესტურ დავალებათა ნიმუშები, ტესტურ დავალებათა აღწერილობა, საგამოცდო ტესტის, შეფასების სქემებისა და პასუხების ფურცლის ნიმუში.

ტესტის სტრუქტურისა და თითოეული ტესტური დავალების აღწერილობის წინასწარ გაცნობა აბიტურიენტს დაეხმარება გამოცდის უკეთ ჩაბარებაში. ტესტირების დროს საჭიროა დავალების ტექნიკური თუ შინაარსობრივი მოთხოვნების მაქსიმალური სიზუსტით დაცვა და პასუხების ფურცელზე დაკვირვებით მუშაობა.

წინამდებარე კრებულში შეტანილი ტესტური დავალებები მხოლოდ და მხოლოდ ნიმუშებია და არა უშუალოდ საგამოცდო ტესტის დავალებები. საგამოცდო ტესტის დავალებები ამ კრებულში შეტანილი დავალებების მსგავსი იქნება.

წინამდებარე კრებული დაგეხმარებათ, დამოუკიდებლად მოემზადოთ სამოქალაქო განათლების გამოცდისათვის.

გისურვებთ წარმატებას!

სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამა

სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამა შედგენილია შეფასებისა და გამოცემის ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ჯგუფის მიერ და ეფუძნება ერთიანი ეროვნული გეგმის მოთხოვნებს.

**სამოქალაქო განათლების
ერთიანი ეროვნული გამოცდის მოთხოვნები**

გამოცდაზე აბიტურიენტს მოეთხოვება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა;
- სოციალურ-პოლიტიკური ცნებების, ტერმინების, კონცეფციებისა და სტრუქტურების ცოდნა და ადეკვატურად გამოყენება;
- სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესებისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების, მსგავსება-განსხვავებების დადგენა, შედარებითი/კრიტიკული ანალიზი;
- სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრა;
- ფაქტსა და მოსაზრებას შორის განსხვავების დადგენა, წყაროს კრიტიკული ანალიზი;
- სხვადასხვა სახით (ტექსტი, რუკა, ფოტო, ცხრილი, დიაგრამა) წარმოდგენილი ინფორმაციის ორგანიზებისა და ანალიზის უნარი;
- სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების, პროცესების, სიტუაციების შეფასება;
- პრობლემის გააზრება, პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა;
- პრობლემის გადაწყვეტის პროცესში მოქალაქეობის კონცეფციების გამოყენების უნარი;
- სამოქალაქო პოზიციის შემუშავება, კრიტიკა, დაცვა;
- აზრის ლოგიკურად, თანმიმდევრულად, არგუმენტირებულად ჩამოყალიბების უნარი;
- საკუთარი დამოკიდებულების არგუმენტირების უნარი;
- ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული არგუმენტაციის უნარი.

სამოქალაქო განათლების საგამოცდო ტესტით მოწმდება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი (რეპროდუცირება);
- სხვადასხვა სახით (ტექსტი, რუკა, ფოტო, დიაგრამა) წარმოდგენილი მასალიდან საჭირო ინფორმაციის გამოყოფა (იდენტიფიცირება);
- ერთი და იმავე ინფორმაციის სხვადასხვა სახით გამოხატვა (ტრანსფორმაცია);
- საპროგრამო მასალის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და ინფორმაციიდან დასკვნის გამოტანის უნარი (პროდუცირება);
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი (თავისუფალი პროდუცირება).

სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამა

საკითხი	საკითხის დაზუსტება
1. პიროვნება და საზოგადოება	<p>1.1. პიროვნების არსი, იდენტობა, სოციალიზაცია, პიროვნული განვითარება;</p> <p>1.2. პიროვნების ადგილი და როლი საზოგადოებაში;</p> <p>1.3. აქტიური მონაწილეობის ფორმები და მეთოდები: ეფექტური კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ლიდერობა, სტრატეგიული დაგეგმვა, გადაწყვეტილების მიღება, პროექტის მომზადება, დისკუსია და დებატების წარმოების წესები, კვლევა;</p>
2. მრავალფეროვანი გარემო და მშვიდობიანი თანაარსებობა	<p>2.1. კულტურა და მისი მრავალფეროვნება;</p> <p>2.2. რელიგია, როგორც კულტურის ფენომენი;</p> <p>2.3. სტერეოტიპი, სტიგმა;</p> <p>2.4. თანასწორობა, დისკრიმინაცია, დისკრიმინაციის სახეები;</p> <p>2.5. ტოლერანტობა;</p> <p>2.6. საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება;</p>
3. კონფლიქტი და მშვიდობის მშენებლობა	<p>3.1. პიროვნული და საზოგადოებრივი კონფლიქტი, კონფლიქტის ტიპები, გამომწვევი მიზეზები, კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიები, კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიები, კონფლიქტის მოგვარების გზები;</p> <p>3.2. შეიარაღებული კონფლიქტი, დევნილები და ლტოლვილები;</p> <p>3.3. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპები;</p> <p>3.4. საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძვლები;</p> <p>3.5. საერთაშორისო არასამთავრობო და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები;</p> <p>3.6. საქართველოს ურთიერთობების პრინციპები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან;</p>
4. სახელმწიფო და სამართალი	<p>4.1. სახელმწიფო, სახელმწიფო მმართველობა, მმართველობის ფორმები, ნიშნები, ფუნქციები, მოწყობა, სახელმწიფოს ტიპები;</p> <p>4.2. პოლიტიკა, პოლიტიკური იდეოლოგიები, პოლიტიკური რეჟიმები;</p> <p>4.3. ხელისუფლების არსი და მიზანი, კონსტიტუციური მმართველობა;</p>

	<p>4.4. სამართლებრივი სახელმწიფო, მისი მახასიათებლები, სამართლებრივი კულტურა;</p> <p>4.5. კანონის უზენაესობა და კანონიერება;</p> <p>4.6. ადგილობრივი თვითმმართველობა;</p> <p>4.7. საქართველოში სახელმწიფოს განვითარების ძირითადი ეტაპები;</p> <p>4.8. საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობა და მისი კავშირი საერთაშორისო სამართალთან;</p> <p>4.9. კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, კონსტიტუციის სახეები;</p> <p>4.10. საქართველოს კონსტიტუციონალიზმის მოკლე ისტორია;</p> <p>4.11. საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები;</p>
<p>5. დემოკრატიის არსი და მისი ძირითადი ინსტიტუტები</p>	<p>5.1. დემოკრატიის მიზნები, ღირებულებათა საფუძვლები და პრინციპები;</p> <p>5.2. თანამედროვე დემოკრატიის განვითარების ტენდენციები, წარმომადგენლობითი დემოკრატია;</p> <p>5.3. დემოკრატიული ინსტიტუტები და მათი მნიშვნელობა;</p> <p>5.4. დემოკრატიის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები საქართველოში;</p>
<p>6. სამოქალაქო საზოგადოება და მონაწილეობა</p>	<p>6.1. საზოგადოებრივი ინტერესები და სამოქალაქო საზოგადოება;</p> <p>6.2. სამოქალაქო საზოგადოება: არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, ინტერესთა ჯგუფები და არაფორმალური საზოგადოებრივი გაერთიანებები;</p> <p>6.3. საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა;</p>
<p>7. მოქალაქეობა</p>	<p>7.1. მოქალაქის სოციალური როლები;</p> <p>7.2. მოქალაქის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა;</p> <p>7.3. მოქალაქის როლი ქვეყნის დემოკრატიის განვითარებაში, აქტიური მოქალაქეობა;</p> <p>7.4. სახელმწიფო მოხელე და საზოგადოებრივი კონტროლი;</p> <p>7.5. მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;</p>
<p>8. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები</p>	<p>8.1. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საფუძვლები;</p> <p>8.2. ადამიანის უფლებების განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები;</p> <p>8.3. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების არსი;</p> <p>8.4. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაცია;</p>

	<p>8.5. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ფუძემდებლური დოკუმენტები;</p> <p>8.6. ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები;</p>
9. მდგრადი განვითარება	<p>9.1. მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები;</p> <p>9.2. განათლება და მისი ხელმისაწვდომობა;</p> <p>9.3. სოციალური დაცვა და მისი გარანტიები;</p> <p>9.4. ჯანსაღი ცხოვრების წესი, სოციალური დაავადებები;</p> <p>9.5. არასრულწლოვანთა დანაშაული;</p> <p>9.6. კორუფცია;</p> <p>9.7. ტრეფიკინგი, უსაფრთხო მიგრაცია;</p> <p>9.8. გლობალიზაცია;</p>
10. ეკონომიკა	<p>10.1. ეკონომიკის ძირითადი საკითხები;</p> <p>10.2. ძირითადი ეკონომიკური სისტემები;</p> <p>10.3. ბაზარი და კონკურენცია;</p> <p>10.4. ეკონომიკური საქმიანობა, მეწარმეობა;</p> <p>10.5. შრომის ბაზარი;</p> <p>10.6. პროფესიონალიზმი და ცოდნის ეკონომიკა;</p> <p>10.7. კეთილდღეობის არსი და მნიშვნელობა;</p> <p>10.8. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები;</p> <p>10.9. საზოგადოებრივი საქონელი და მომსახურება;</p> <p>10.10. სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება და პოლიტიკა;</p> <p>10.11. სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები;</p> <p>10.12. ფული და მისი ფუნქციები.</p>

ტესტური დავალებების აღწერილობა
და ნიმუშები

არჩევითპასუხიანი დავალება

დავალების აღწერა - დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ თქვენ მიერ არჩეული სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას, მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და განსხვავებების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის უნარს. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

ნიმუში 1

რა ეწოდება პიროვნებათა თუ პიროვნებათა ჯგუფის თანასწორობისა და ღირსების შელახვას ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნის მიხედვით?

- ა. სექსიზმი
- ბ. სუბორდინაცია
- გ. დისკრიმინაცია
- დ. დისკრედიტაცია

სწორი პასუხი: გ

ნიმუში 2

ჩამონათვალიდან რომელი სახელმწიფო ორგანოა დამოუკიდებელი და არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების არცერთ შტოს?

- ა. სახალხო დამცველი
- ბ. ფინანსთა სამინისტრო
- გ. საკონსტიტუციო სასამართლო
- დ. პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

სწორი პასუხი: ა

ნიმუში 3

მართებულია თუ არა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ ქვემოთ მოყვანილი მსჯელობები?

- I. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ნიშნავს საკუთარი აზრისა და შეხედულების გამოთქმის უფლებას;
- II. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ინფორმაციის მიღებისა და ხელმისაწვდომობის უფლებასაც;
- III. სიტყვის თავისუფლება ყოველთვის ყველაფრის თქმის უფლებას ნიშნავს.

- ა. მართებულია მხოლოდ I
- ბ. მართებულია II და III
- გ. მართებულია I და II
- დ. სამივე მართებულია

სწორი პასუხი: გ

ნიმუში 4

რომელია მართებული მსჯელობა რეფერენდუმსა და პლემბისციტს შორის არსებულ განსხვავებაზე?

- I. რეფერენდუმის შედეგებს კანონის ძალა აქვს, ხოლო პლემბისციტის შედეგები სარეკომენდაციო ხასიათისაა.
- II. რეფერენდუმი ტარდება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო პლემბისციტი მოქალაქეთა მხოლოდ გარკვეულ ჯგუფზეა გათვლილი.

- ა. მხოლოდ I
- ბ. მხოლოდ II
- გ. ორივე
- დ. არცერთი

სწორი პასუხი: ა

ნომერი 5

რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის სიმბოლოა გამოსახული პოსტერზე?




- ა. ნატო
- ბ. გაერო
- გ. უნისეფი
- დ. ევროკავშირი

სწორი პასუხი: ა

ნომერი 6

სახელმწიფო ხელისუფლების რომელი შტოა გამოტოვებული მოცემული სქემის კითხვის ნიშნით აღნიშნულ უჯრედში?



- ა. მედია
- ბ. სამხედრო
- გ. სამართალდამცავი
- დ. სასამართლო

სწორი პასუხი: დ

ნიმუში 7

1572 წლის 24 აგვისტოს პარიზში, წმინდა ბართლომეს დღესასწაულის წინა ღამეს განხორციელდა კათოლიკეების მიერ ჰუგენოტების მასობრივი ჟლეტა. რა ნიშნით განხორციელდა ადამიანთა დევნა?

- ა. ეთნიკური
- ბ. გენდერული
- გ. რელიგიური
- დ. რასობრივი

სწორი პასუხი: გ

ნიმუში 8

„ფიროსმანმა რომ სმას უმატა, მეგობარმა მხატვრებმა გადაწყვიტეს, რამე უნდა ვუშველოთ, თორემ დაილუპებო. ფული შეაგროვეს, სარდაფი უყიდეს მთელი უძრავ-მოძრავით, ჩააბარეს და დაანამუსეს: - „ივაჭრე, თან ხატე, და თუ დალევა მოგინდეს, სხვაგან ნუ წახვალ, ისევ აქ დალიეო.“ (რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან)

ჩამოთვლილთაგან რომელს უფრო შეესაბამება ეს მაგალითი?

- ა. თვითშეფასებას
- ბ. სოლიდარობას
- გ. პიროვნების იზოლაციას
- დ. პიროვნების დისკრედიტაციას

სწორი პასუხი: ბ

ნომერი 9

რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნებია გამოსახული რუკაზე ლურჯი ფერით?




- ა. გაერო
- ბ. ნატო
- გ. ევროსაბჭო
- დ. ევროკავშირი

სწორი პასუხი: დ

ნომერი 10

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებული რომელი უფლების ილუსტრაციაა მოცემული პოსტერი?



- ა. თანასწორობა კანონის წინაშე
- ბ. პიროვნული განვითარების თავისუფლება
- გ. აზრის, სინდისის და რელიგიის გამოხატვის თავისუფლება
- დ. ქორწინების უფლება რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით შეზღუდვის გარეშე

სწორი პასუხი: გ

ნიმუში 11

ყურადღებით წაიკითხეთ პასტორ მარტინ ნიმიოლერის ცნობილი სიტყვები:

„როცა ნაცისტები კომუნისტებს მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ. ებრაელებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან ებრაელი არ ვყოფილვარ. პროფკავშირებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან პროფკავშირის წევრი არ ვყოფილვარ. კათოლიკეებზე გადავიდნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან კათოლიკე არ ვყოფილვარ. შემდეგ მე მომადგნენ ... და აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოეღო...“


რა არის ამ სიტყვების ძირითადი იდეა?

- ა. ნაცისტების მიერ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის განადგურების ფაქტის აღწერა;
- ბ. იმის დემონსტრირება, რომ სოციალურ ჯგუფებს არ ახასიათებთ ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა;
- გ. მოწოდება, რომ ადამიანმა უნდა დაიცვას იმ სოციალური ჯგუფის უფლება, რომლის წევრიცაა;
- დ. იმის გაცნობიერება, რომ ადამიანმა უნდა დაიცვას სხვისი უფლება, რომ თავად იყო დაცული.

სწორი პასუხი: დ

ნომერი 12

ყურადღებით გაეცანით დიაგრამას, რომელიც ასახავს ქალისა და მამაკაცის ქცევას ოჯახში. კერძოდ, საოჯახო საქმიანობაში მათ ჩართულობას:




რომელი დასკვნა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

- ა. საოჯახო საქმიანობას მხოლოდ ქალები ასრულებენ;
- ბ. ჩვეულებრივ, გენდერული როლები ოჯახში მკვეთრადაა გამიჯნული;
- გ. საოჯახო საქმიანობები თანაბრადაა განაწილებული ქალსა და მამაკაცს შორის;
- დ. საოჯახო საქმიანობას ოჯახში ძირითადად დაქირავებული პირი ასრულებს.

სწორი პასუხი: ბ

ნიმუში 13

რუკა ასახავს მსოფლიოს ქვეყნებში პრესის თავისუფლების ხარისხს. გაეცანით რუკას და უპასუხეთ შეკითხვებს:



1. რომელი მსჯელობა არ შეესაბამება რუკის მონაცემებს?

პრესის თავისუფლების ინდექსი:

- ა. ინდოეთში უფრო მაღალია ვიდრე მექსიკაში;
- ბ. ბრაზილიაში უფრო დაბალია ვიდრე კანადაში;
- გ. იაპონიაში უფრო მაღალია ვიდრე ა.შ.შ.-ში;
- დ. იტალიაში უფრო მაღალია ვიდრე ისლანდიაში

სწორი პასუხი: დ

2. ქვეყნები დალაგებულია გარკვეული თანმიმდევრობის მიხედვით. რომელი თანმიმდევრობა არ არის მართებული?

- ა. ირანი, თურქეთი გერმანია;
- ბ. კუბა, რუსეთი, დანია;
- გ. ყაზახეთი, ჩინეთი, შვეიცარია;
- დ. მექსიკა, შვედეთი, საუდის არაბეთი.

სწორი პასუხი: დ

3. რომელი მსჯელობაა მართებული?

I. სკანდინავიის ქვეყნებში პრესის თავისუფლების ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში;

II. ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში პრესის თავისუფლების ხარისხი უფრო დაბალია, ვიდრე სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში.

ა. მართებულია მხოლოდ I

ბ. მართებულია მხოლოდ II

გ. ორივე მართებულია

დ. არცერთია მართებული

სწორი პასუხი: ა

შესაბამისობის დადგენა

დავალების აღწერა – დავალება ცხრილის სახითაა მოცემული. უნდა დადგინდეს შესაბამისობა ცხრილის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის. პასუხები იწერება პასუხების ფურცელში განთავსებულ ცხრილში. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მისი გამოყენების უნარს, ინფორმაციის კლასიფიცირების, მისი გარკვეული ნიშნით დაჯგუფების, განზოგადების, ინფორმაციათა შორის შესაბამისობის დამყარების, ინფორმაციის გაანალიზების უნარს. თითოეული დავალება 1 ან 2 ქულით ფასდება.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

ნიმუში 1

- ეფექტური კომუნიკაციის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მოსმენის უნარის განვითარება. I სვეტში მოცემული მსმენელთა პასუხები მოსაუბრის გამონათქვამზე, შეუსაბამეთ II სვეტში მოცემულ პასუხის ტიპებს:

I	II
<p><i>მოსაუბრე: „ძალიან მიჭირს საქმეს თავი გავართვა, იმდენი რამ მაქვს მოსაწესრიგებელი, ხარისხიანად ვერაფერს ვაკეთებ“</i></p> <p><i>მსმენელთა პასუხი:</i></p> <p>ა. „შარშან ზუსტად ასე ვიყავი, ვარჯიში დავიწყე და თითქოს მეტი ენერჯია გამიჩნდა. ასე საქმესაც უკეთ მოასწრებ;“</p> <p>ბ. „მესმის, სტრესულია, როდესაც ბევრი საქმე გაქვს და წესიერად ვერაფერს ასწრებ;“</p> <p>გ. „რას ამბობ, შენ ხომ ყოველთვის ისეთი ორგანიზებული ხარ. ალბათ გარშემომყოფები არ გაცლიან, რომ შენს საქმეს მიხედო;“</p> <p>დ. „მართლა? სამსახურის საქმეს გულისხმობ, თუ - სახლის?;“</p> <p>ე. „ნუ იტყვი. მეც ასე ვარ. ამ ყველაფერს დროის არასწორი განაწილება იწვევს.“</p>	<p>1. აქტიური მოსმენა</p> <p>2. ინტერპრეტაცია</p> <p>3. რჩევა</p>

სწორი პასუხი:

I	ა	ბ	გ	დ	ე
II	3	1	2	1	2

შეფასება: დავალება 2 ქულიანია. 5 სწორი პასუხი -2 ქულა, 4 სწორი პასუხი -1 ქულა, 3 და ნაკლები სწორი პასუხი -0 ქულა.

ნიმუში 2

- სამოქალაქო ინიციატივები შეუსაბამეთ მათი განხორციელებისათვის საჭირო მოქალაქეთა რაოდენობას:

I	II
<p>ა. საკანონმდებლო ინიციატივა</p> <p>ბ. რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნა</p> <p>გ. პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება</p>	<p>1. არანაკლებ 300 ამომრჩეველი</p> <p>2. არანაკლებ 600 ამომრჩეველი</p> <p>3. არანაკლებ 25 000 ამომრჩეველი</p> <p>4. არანაკლებ 50 000 ამომრჩეველი</p> <p>5. არანაკლებ 100 000 ამომრჩეველი</p> <p>6. არანაკლებ 200 000 ამომრჩეველი</p>


სწორი პასუხი:





I	ა	ბ	გ
II	3	6	1

შეფასება: დავალება 1 ქულიანია. 3 სწორი პასუხი - 1 ქულა, 3-ზე ნაკლები სწორი პასუხი - 0 ქულა.

ნომერი 3

- რუკა ასახავს მსოფლიო ქვეყნების ჰუმანური განვითარების 2011 წლის მონაცემებს. ცხრილში მოცემული რუკის ლეგენდის ფერები დაუკავშირეთ ჰუმანური განვითარების შესაბამის დონეებს:



I. ჰუმანური განვითარების დონე	II. რუკის ლეგენდის ფერი
ა. უმაღლესი	1. ყვითელი 
ბ. მაღალი	2. ნარინჯისფერი 
გ. საშუალო	3. ლურჯი 
დ. დაბალი	4. მწვანე 

სწორი პასუხი:

I	ა	ბ	გ	დ
II	3	4	1	2

შეფასება: დავალება 1 ქულიანია. 4 სწორი პასუხი - 1 ქულა, 4-ზე ნაკლები სწორი პასუხი - 0 ქულა.

თანმიმდევრობის განსაზღვრა

დავალების აღწერა – დავალებაში მოცემული ჩამონათვალი უნდა დალაგდეს მითითებული პრინციპის შესაბამისად (მოვლენათა ქრონოლოგია, პროცესის ეტაპების თანმიმდევრობა და სხვ.). პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცლის მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ ჩამონათვალის შესაბამისი ციფრი. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნასა და ცოდნის გამოყენების, ინფორმაციის დალაგების უნარს მოცემული პრინციპის შესაბამისად. დავალებაში შესაძლოა მითითებული იყოს ერთი სწორი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

ნიმუში 1

- დაალაგეთ საქართველოს მოქალაქის უფლებები მათი გამოყენების ასაკის

შესაბამისად:

1. მოსამართლეობა
2. საკრებულოს წევრობა
3. საკუთარი ქონების განკარგვა
4. პრეზიდენტობის კანდიდატობა

			4*
--	--	--	----

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი.

სწორი პასუხი: ქონების განკარგვა - 18 წლიდან, საკრებულოს წევრობა - 21 წლიდან, მოსამართლეობა - 30 წლიდან, პრეზიდენტობის კანდიდატობა - 40 წლიდან.

3	2	1	4
---	---	---	---

ნიმუში 2

- ადამიანის მოთხოვნილებათა ჩამონათვალი დაალაგეთ მასლოუს

მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელის შესაბამისად:

1. მიღწევა, სტატუსი, რეპუტაცია
2. დაცულობა, სტაბილურობა, უსაფრთხოება
3. პიროვნების განვითარება და რეალიზაცია
4. ოჯახი, ჯგუფი, ურთიერთობები, ზრუნვა

2*			
----	--	--	--

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი.

სწორი პასუხი: მოტივაციის იერარქიული თეორია: უსაფრთხოება, მიკუთვნება და სიყვარული, თვითპატივისცემა, თვითაქტუალიზაცია.

2	4	1	3
---	---	---	---

ღიადაბოლოებიანი დავალება

დავალების აღწერა – დავალებაში მოცემულია შეკითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით გაეცანით პირობას და გაეცით კონკრეტული პასუხი. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ შესაბამის ადგილას. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს საკითხის ცოდნის, მსჯელობის, არგუმენტირების, დასაბუთების უნარს. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით:

ნიმუში 1

ახსენით, რა არის სტერეოტიპი. დაასახელეთ სტერეოტიპული შეხედულების მაგალითი. რა უარყოფითი მხარე აქვს სტერეოტიპულ აზროვნებას?

სწორი პასუხის ნიმუში:

სქემატური, განზოგადებული შეხედულება რაიმე სოციალურ მოვლენაზე ან ობიექტზე. ადამიანთა ჯგუფის შესახებ ჩამოყალიბებული წარმოდგენის გავრცელება (პოზიტიური ან ნეგატიური თავისებურებების მიწერა) ჯგუფის ყველა წევრზე, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ეს წარმოდგენა კონკრეტულ ინდივიდებს (1 ქულა). მაგალითი - „გერმანელები არიან შრომისმოყვარენი“, „ქალები ცუდად მართავენ მანქანას“. (1 ქულა)

უარყოფითი მხარე - სტერეოტიპული აზროვნების დროს ხდება ადამიანების ან იდეების გამარტივებული, განზოგადებული და ხშირად გაუთვითცნობიერებელი აღქმა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წინასწარ შექმნილი ნეგატიური აზრი და დისკრიმინაცია. (1 ქულა)

შეფასება: მკაფიო, კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, სადაც მოცემულია სწორი განმარტება და არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა, შეფასდება 1 ქულით. შესაბამისი მაგილითის მოყვანა - 1 ქულა, უარყოფითი მხარის ჩვენება - 1 ქულა. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 3 ქულა.

შეცდომის გასწორება

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც გარკვეული ინფორმაცია (ტერმინი, სახელი, თარიღი) შეცდომითაა მოცემული. აბიტურიენტმა უნდა იპოვოს და გაასწოროს შეცდომები. პასუხები ფიქსირდება პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. პასუხების ფურცელში არ გადაიტანება შეცდომის შემცველი სრული წინადადება, არამედ მხოლოდ მცდარი ტერმინი, სახელი ან თარიღი.

მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. შეფასდება შეცდომა, თავის გასწორებულ ვარიანტთან ერთად 1 ქულით. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით:

ნიმუში 1

ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იზოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

პარლამენტარიზმი საქართველოში

საქართველოში სამეფო ძალაუფლების შეზღუდვისა და პარლამენტის ტიპის ხელისუფლების შექმნის იდეა ჯერ კიდევ XII საუკუნეში გაჩნდა, საფრანგეთში „თავისუფლების დიდი ქარტიის“ მიღებამდე ცოტა ხნით ადრე.

1906 წლიდან ქართველებს რუსეთის საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მიეცათ. სხვადასხვა დროს საქართველოდან წარგზავნილ დეპუტატთა შორის იყვნენ ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე. ამავე დროს, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აკაკი წერეთელი.

1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებით, აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. უკვე დამოუკიდებელ საქართველოში შეიქმნა არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო - დამფუძნებელი კრება, რომელმაც 1919 წელს პირველი ქართული კონსტიტუცია მიიღო. მალევე საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ და საქართველოში დამოუკიდებელი საპარლამენტო ხელისუფლება, ფაქტობრივად, ათეულობით წლის მანძილზე აღარ არსებობდა. 1991 წელს საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები. არჩეულმა უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

2010 წელს თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის 20 წლისთავი აღინიშნა. დღეს საქართველოს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს ქვეყნის მოსახლეობა პროპორციული საარჩევნო სისტემით ირჩევს. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

სწორი პასუხი:

შეცდომა		სწორია
1.	საფრანგეთი	ინგლისი
2.	აკაკი წერეთელი	ილია ჭავჭავაძე
3.	1919 წელი	1921 წელი
4.	1991 წელი	1990 წელი
5.	პროპორციული	შერეული
6.	ხუთი წლით	ოთხი წლით

შეფასება: ყოველი ნაპოვნი შეცდომა მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად 1 ქულით შეფასდება. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 6 ქულა.

○ *ილუსტრაციის ანალიზი*

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია ილუსტრაცია, რომელსაც თან რამდენიმე შეკითხვა ახლავს. მოცემული დავალება ამოწმებს ილუსტრაციის მთავარი საზრისის, პრობლემის ანალიზის, სიმბოლოების გაგების, საჭირო ინფორმაციის გამოყოფისა და კონტექსტში გააზრების უნარს, ასევე, არგუმენტირებული მსჯელობის უნარს; ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

ნიმუში 2

გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ ქვემოთ დასმულ კითხვებს:



1. რა პრობლემის წინააღმდეგ არის მიმართული მოცემული ილუსტრაცია?
2. დაასახელეთ სამი ელემენტი, რომელთა გამოყენებითაც არის აგებული ილუსტრაცია და ახსენით, როგორ ქმნიან თქვენს მიერ დასახელებული საგნები ერთიან საზრისს.
3. იმსჯელეთ არგუმენტირებულად ილუსტრაციით გადმოცემული პრობლემის შესახებ.

სწორი პასუხის ნიმუში:

1. ადამიანის მიერ ბუნებისადმი ცუდად მოპყრობის წინააღმდეგ.

2. ნაჯახი; ადამიანი; ხე. ილუსტრაციის მიხედვით, ადამიანი ნაჯახის საშუალებით ჩეხავს ხეს, რომელიც საკუთარი სხეულის ნაწილს წარმოადგენს. ანუ ბუნება, რომელსაც ადამიანი ცუდად ეპყრობა, უფრო მეტად არის ადამიანთან დაკავშირებული, ვიდრე მას ხშირად წარმოუდგენია.

3. მიმაჩნია, რომ ადამიანი, ხშირად ვერ აცნობიერებს თუ რამდენად გადაჯაჭვულია ის იმ გარემოსთან, რომელშიც ცხოვრობს. ხე შეიძლება მრავალმხრივ გამოსადეგია, როგორც რესურსი, მაგრამ იგი ამავდროულად ჟანგბადს წარმოქმნის, რის გარეშე ჩვენი სიცოცხლე წარმოუდგენელია. ანუ შეიძლება ითქვას, ხის მოჭრით ჩვენ თავსაც ვიკლავთ. მეორეს მხრივ, ბუნებასთან ურთიერთობა ადამიანს ეხმარება სულიერ განვითარებაში, რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია ადამიანისათვის.

შეფასება: მკაფიო, კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, რომელიც შეესაბამება კითხვას 1 ქულით შეფასდება. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 3 ქულა.

პრობლემის გადაჭრა

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია პრობლემის აღწერა და მიზანი იმ პროექტისა, რომლის განხორციელებაც პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს. აბიტურიენტი უნდა გაეცნოს პრობლემის აღწერასა და პროექტის მიზანს და განსაზღვროს პრობლემის მოგვარების გზები: ჩამოაყალიბოს ორი ამოცანა და თითოეული ამოცანის განხორციელების ეფექტური გზა. მოცემული დავალება ამოწმებს პრობლემის გადაჭრისა და პროექტის სტრუქტურირების საბაზისო ცოდნას. მოცემული დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

სასკოლო პროექტი	
პრობლემის აღწერა	<p>მრავალ სკოლაში სკოლის ბიბლიოთეკა წარმოადგენს სივრცეს, სადაც მოსწავლეები ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობენ მათთვის საინტერესო საკითხებზე, გეგმავენ სასკოლო ღონისძიებებს, ასევე მართავენ შეხვედრებს საინტერესო პიროვნებებთან.</p> <p>თქვენი სკოლის ბიბლიოთეკა ამგვარ ფუნქციას ვერ ასრულებს. მისი წიგნადი ფონდი ძალიან მწირია, ხოლო ინფრასტრუქტურა არ იძლევა მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების საშუალებას.</p>
პროექტის მიზანი	სკოლის ბიბლიოთეკის სასწავლო ცენტრად ქცევით მოსწავლეთა სწავლის პროდუქტიულობისა გაზრდა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესება.
პროექტის ამოცანები	<p>(კონკრეტული მიმართულებები პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად)</p> <p><u>I ამოცანა:</u></p> <p><u>II ამოცანა:</u></p>
განხორციელების გზები	<p>(კონკრეტული ნაბიჯები, აქტივობები დასახული ამოცანების გადასაჭრელად)</p> <p><u>I ამოცანის განხორციელების გზა:</u></p> <p><u>II ამოცანის განხორციელების გზა:</u></p>

სწორი პასუხის ნიმუში:

I ამოცანა: სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება.

II ამოცანა: ბიბლიოთეკის სივრცის პოპულარიზაცია

I ამოცანის განხორციელების გზა: ეროვნულ ბიბლიოთეკასთან კავშირის დამყარება, სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრების მიზნით.

II ამოცანის განხორციელების გზა: წიგნის კითხვის კლუბის ჩამოყალიბება და სკოლის ბიბლიოთეკაში კლუბის შეხვედრების სისტემატიური გამართვა.

შეფასება:

I. პრობლემის მოგვარება: მაქსიმალური 3 ქულა

პრობლემის გადასაჭრელად დასახულია ორი დამოუკიდებელი, განსხვავებული, გრძელვადიანი ეფექტის მქონე მიდგომა (ამოცანა და მისი ადეკვატური განხორციელების გზა), რომლითაც მიიღწევა დასახული მიზანი, პასუხი სრულია და აზრი მკაფიოდ იკითხება - **3 ქულა**.

პრობლემის გადასაჭრელად დასახულია ორი დამოუკიდებელი, განსხვავებული მიდგომა, მაგრამ ერთ-ერთი ნაკლებად ეფექტიანია ან არასრულია - **2 ქულა**.

პრობლემის გადასაჭრელად დასახულია მხოლოდ ერთი ეფექტიანი მიდგომა - **1 ქულა**.

დავალემაში მოცემული ამოცანები და განხორციელების გზები არ შეესაბამება მიზანს, არარეალისტურია, ზოგადია, არ იძლევა მისაღწევი შედეგის განსაზღვრის შესაძლებლობას - **0 ქულა**.

II. პროექტის სტრუქტურა: მაქსიმალური 1 ქულა

ამოცანები გამიჯნულია განხორციელების გზებისგან, ამოცანა და განხორციელების გზები მკაფიოდ არის ფორმულირებული, წერია მათთვის განკუთვნილ ველში, ჩანს პროექტის შედეგების საბაზისო უნარები;

(არ ფასდება თუ პირველი კრიტერიუმი შეფასდა 0 ქულით)

დავალეების მაქსიმალური ქულაა 4.

○ *არგუმენტირებული მსჯელობა*

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია პრობლემური საკითხი, დილემური სიტუაცია, სხვადასხვა თვალსაზრისი. აბიტურიენტმა უნდა მოიყვანოს დავალების პირობაში მოცემული საკითხის შესახებ მტკიცებითი და უარყოფელი არგუმენტები. დავალების შეფასების მაქსიმალური ქულა არის 4.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

ნიმუში 1

არსებობს მოსაზრება, რომ კონფლიქტი უარყოფითი მოვლენაა. მოიყვანეთ ორი არგუმენტი ამ მოსაზრების განსამტკიცებლად, ხოლო ორი არგუმენტი ამ მოსაზრების საპირისპიროდ.

სწორი პასუხის ნიმუში:

კონფლიქტის უარყოფითი მხარეები:

1. კონფლიქტში შესაძლოა დავმარცხდეთ, ვერ დავიცვათ ჩვენი ინტერესი.
2. კონფლიქტს ახლავს უარყოფითი ემოციები. კონფლიქტის მოგვარებაზე იხარჯება დიდი დრო.

კონფლიქტის დადებითი მხარეები:

1. კონფლიქტი გვებმარება ინფორმაციის დაზუსტებაში, ორივე მხარისათვის მისაღები გამოსავლის, ახალი შესაძლებლობების მონახვაში, ასევე წინსვლასა და განვითარებაში. რის გამოც კონფლიქტი არ შეიძლება ჩაითვალოს ცალსახად უარყოფით მოვლენად.
2. კონფლიქტი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ საკუთარი მოსაზრებები მოწინააღმდეგის თვალით, გადავაფასოთ ჩვენი შეხედულებები.

შეფასება: თითო გამართულად ჩამოყალიბებული, ადეკვატური დამოუკიდებელი არგუმენტი შეფასდება 1 ქულით. დავალების მაქსიმალური შეფასება 4 ქულაა.

- *წყაროს (პრობლემის) ანალიზი*

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია წყარო (წერილობითი, ვიზუალური), რომელსაც თან რამდენიმე შეკითხვა ახლავს. მოცემული დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, პრობლემის ანალიზის, ტექსტის გაგების, საჭირო ინფორმაციის გამოყოფისა და კონტექსტში გააზრების უნარს, ასევე არგუმენტირებული მსჯელობის უნარს; ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

ნიმუში 1

გაეცანით ქვემოთ მოცემულ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1



ყოფილი პრეზიდენტების შეხვედრა, მოქმედ პრეზიდენტთან. მარცხნიდან მარჯვნივ: ჯორჯ ჰერბერტ უოლკერ ბუში, ბარაკ ობამა, ჯორჯ უოლკერ ბუში, ბილ კლინტონი, ჯიმი კარტერი.



კანონპროექტის განხილვა პარლამენტში.



რუსთაველის გამზირი სამოქალაქო ომის დროს.



ერთსულოვნება საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე.

წყარო N2

“ამას ვამჩნევ ფიქრისა და მსჯელობისას სხვას მაინც მიჰბადონ, თუ შინაარსით არა, გარეგნობით მაინც, რომ უცხო კაცი დაესწროს, ის არა თქვას: ე, რა ღმერთი გამიწყრა, რა ველურს ხალხში მოვემწყვდიეო. აგერ, შორს რად გვინდა წასვლა, შევხედოთ ინგლისელებს. დაუკვირდეთ გლადსტონს და ირლანდიის შესახებ მის აზრის მოწინააღმდეგეთ, როგორ ეპყრობიან, რა კილოთი საუბრობენ, რა საზომი და სასწორი უჭირავთ ხელში. „მართალია, ამა და ამ აზრში მოტყუებულა გლადსტონი, მაგრამ მაინც დიდებული კაციაო, მაინც დიდებაა ინგლისისაო“. აბა, კაი ბიჭი ხარ და ქართველ კაცს გააბედინებ, ათქმევინებ თავის მოწინააღმდეგის შესახებ, რომ თუმცა ერთსა სტყუი, მაგრამ ეს ერთი რამ კი სიმართლე სთქვიო. რაკი მოწინააღმდეგე ხარ, სრულიად, თავით ბოლომდე, მტყუანი ხარ, მართლის თქმა, მართლის ქმნა არ ძალგიძსო. ამას ვამჩნევ მე და გული მტკივა. ამ ტკივილმა ისე იმატა, რომ თავსაც მატკიებს. ამგვარი საქციელი, ამისთანა ერთი მეორესთან დამოკიდებულება, ჩემს თავში ვერა თავსდება, გონებას მიძრწუნებს“. ვაჟა-ფშაველა, „ამას ვამჩნევ“, 1861-1915.

1. რომელი მოსაზრება არ არის მართებული წყარო N2 ის ტექსტიდან გამომდინარე?

- ა. საქართველოში ოპონენტები ერთმანეთს უპატივცემულოდ ექცევიან;
- ბ. ფორმალურად მაინც უნდა იქნას დაცული ერთმანეთთან მოპყრობის წესები;
- გ. თუ მოწინააღმდეგე ტყუის, მას ეს ტყუილი უნდა მიუთითო და აიძულო ბოდიშის მოხდა;
- დ. ძნელია საქართველოში ვინმეს მოწინააღმდეგეზე საქებარი სიტყვა ათქმევინო.

სწორი პასუხი: გ

2. რა ეწოდება განსხვავებული აზრებისა და შეხედულებების თანაარსებობას?

- ა. ეიჯიზმი
- ბ. ნეპოტიზმი
- გ. პლურალიზმი
- დ. ეგზისტენციალიზმი

სწორი პასუხი: გ

3. წყაროებზე დაყრდნობით იმსჯელეთ რა ნეგატიური შედეგები შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან ერთმანეთის უპატივცემლობას.

4. ფოტო N4 -ის მიხედვით იმსჯელეთ საქართველოში დღევანდელი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე რა ნეგატიური კვალი დატოვა საბჭოთა კავშირში მისმა წევრობამ.

5. იმსჯელეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი დემოკრატიული საზოგადოებისათვის პოლიტიკურ ოპონენტებს შორის მიმდინარე დიალოგი.

სწორი პასუხის ნიმუში:

3. პოლიტიკურ ოპონენტთა შორის დაპირისპირების არასწორი ფორმების გამოყენებით რთულდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. ამას გარდა, თუკი ოპონენტები ერთმანეთს მუდამ მტრად განიხილავენ და უარს განაცხადებენ თანამშრომლობაზე, პოლიტიკური დაპირისპირება შესაძლოა გასცდეს პოლიტიკური კულტურისათვის დამახასიათებელ ჩვეულ ფორმებს და კონფლიქტში გადაიზარდოს.

4. როგორც ფოტო და მისი სათაური გვიჩვენებს, საბჭოთა კავშირში არსებობდა ერთსულოვნება პოლიტიკოსთა შორის. მსგავსი ერთსულოვნება, რომელიც რეპრესიების საშუალებით მიიღწეოდა გამორიცხავდა განსხვავებული აზრის არსებობას. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ შეიმჩნევა განსხვავებული პოლიტიკური აზრის აუტანლობა და ვფიქრობ ეს სწორედ ერთპარტიული სისტემის ნეგატიურ გავლენად შეიძლება მივიჩნიოთ.

5. დიალოგი გვამლევს საშუალებას გადავამოწმოთ ჩვენი შეხედულებები. სწორედ პოლიტიკურ ოპონენტთან დიალოგის დროს ვლინდება ჩვენი საკუთარი შეხედულებების მცდარობა თუ მართებულობა. ამდენად დიალოგი გვეხმარება განვითარებაში. პოლიტიკური დიალოგის არარსებობა აუცილებლად გულისხმობს მხოლოდ ერთი მოსაზრების დომინაციას, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიულობის პრინციპს.

შეფასება: მკაფიო, კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, სადაც მოცემულია სწორი განმარტება და არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა, შეფასდება 1 ქულით. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 5 ქულა.

სამოქალაქო განათლების ტესტის ნიმუში

შეფასების სქემა

პასუხების ფურცელი

სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში სხვადასხვა ტიპის 30 დავალებაა. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 3 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-24, 30.1-30.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით X ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. საქართველოს რომელი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს დიპლომატიურ სამსახურს?

ა) თავდაცვის სამინისტრო;

ბ) იუსტიციის სამინისტრო;

გ) შინაგან საქმეთა სამინისტრო;

დ) საგარეო საქმეთა სამინისტრო.

(1) **2. რა ეწოდება ადამიანის იძულებითი შრომისათვის გამოყენებას?**

ა) შანტაჟი;

ბ) გადაბირება;

გ) ექსპლუატაცია;

დ) ვანდალიზმი.

(1) **3. სკოლის რომელი სტრუქტურული ერთეული ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს და ბიუჯეტს?**

ა) სამეურვეო საბჭო;

ბ) პედაგოგიური საბჭო;

გ) სააპელაციო კომიტეტი;

დ) დისციპლინური კომიტეტი.

(1) 4. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, რომელი საქმიანობაა მოქმედი მოსამართლის თანამდებობასთან შეთავსებადი?

ა) გენერალური პროკურორობა;

ბ) პოლიტიკური პარტიის წევრობა;

გ) ნებისმიერი ანაზღაურებადი საქმიანობა;

დ) სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა.

(1) **5. რას ასახავს აბრაამ მასლოუს პირამიდა?**

- ა) ადამიანის საჭიროებების იერარქიას;
- ბ) გადაწყვეტილების მიღების იერარქიას;
- გ) კონფლიქტის ესკალაციის საფეხურებს;
- დ) სოციალური მონაწილეობის საფეხურებს.

(1) **6. რა მიზანს ისახავს „ბოლონიის პროცესი“?**

ა) საერთო მილიტარისტული კოალიციის შექმნას;

ბ) ევროპული ეკონომიკური კავშირის ჩამოყალიბებას;

გ) ერთიანი ევროპული სასამართლო სისტემის შექმნას;

დ) საერთო ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბებას.

(1) 7. როგორია სახელმწიფო ბიუჯეტი, თუ საბიუჯეტო შემოსავლები აღემატება საბიუჯეტო ხარჯებს?


ა) დეფიციტური;

ბ) პრეფიციტური;

გ) დაბალანსებული;

დ) სეკვესტრირებული.

(1) 8. სქემა არასრულად ასახავს მდგრადი განვითარების კომპონენტებს. რომელი კომპონენტი უნდა ეწეროს კითხვის ნიშნის ნაცვლად?



- ა) გარემოს მდგრადი განვითარება;
- ბ) პიროვნების მდგრადი განვითარება;
- გ) მდგრადი გლობალური განვითარება;
- დ) მდგრადი ტერიტორიული განვითარება.

(1) **9. რას გულისხმობს კონფლიქტის ესკალაციის ერთ-ერთი ეტაპი „ალიანსების ფორმირება“?**

ა) საერთო ინტერესების გამონახვას მოწინააღმდეგე მხარესთან;

ბ) საკუთარი პოზიციების გასამყარებლად თანამოაზრეების ძებნას;

გ) საკუთარი ინტერესების დათმობას კონფლიქტის გასანეიტრალებლად;

დ) საკუთარი პოზიციების დაახლოებას მოწინააღმდეგე მხარის პოზიციებთან.

(1) **10. მთავრობის შესახებ დებულებათაგან რომელია მართებული საქართველოს კონსტიტუციის თანახმად?**

- I. საქართველოს მთავრობა არის სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი საკანონმდებლო ორგანო;
- II. საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას;
- III. საქართველოს მთავრობას ექვემდებარება ხელისუფლების სამივე შტო, რაც ერთიან მმართველობით სისტემას ქმნის.

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) მხოლოდ III;

დ) ყველა მართებულია.

(1) 11. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიაში რა ეწოდება ეკონომიკურ კონცეფციას, რომლის თანახმადაც ქვეყანამ უმჯობესია აწარმოოს ის პროდუქცია, რომლის წარმოებაც მისთვის ყველაზე ეფექტიანია?

ა) უხილავი ხელის კონცეფცია;

ბ) გეგმიური ეკონომიკის თეორია;

გ) თავისუფალი ბაზრის პრინციპი;

დ) შედარებითი უპირატესობის თეორია.

(1) **12. რომელი მსჯელობა არ შეესაბამება საქართველოს ორგანულ კანონს მოქალაქეობის შესახებ?**

- ა) მოქალაქე პოლიტიკურ-სამართლებრივ კავშირშია საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ორმხრივ უფლება-მოვალეობათა ერთიანობით;
- ბ) მოქალაქე დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ საქართველოს კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე შევა სხვა ქვეყნის სამხედრო სამსახურში;
- გ) პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა გამონაკლისის წესით შეიძლება მიანიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს;
- დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს მოქალაქეობა შესაძლოა ჩამოერთვას სახელმწიფო ღალატში ან კანონით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულში მხილებულ პირს.

(1) **13. რომელი განმარტება შეესაბამება პიროვნების რესოციალიზაციის ცნებას?**

ა) პროცესი, რომელიც აუცილებელია გაიაროს თითოეულმა მოქალაქემ, რათა შეძლოს საზოგადოებაში არსებული ღირებულებების შეფასება და საკუთარი ღირებულებების გავრცელება;

ბ) მექანიზმი, რომლის დახმარებითაც პიროვნება ინარჩუნებს იმ ღირებულებებსა და ნორმებს, რომლებიც მას, როგორც ინდივიდს, გამოარჩევს საზოგადოების დანარჩენი წევრებისაგან;

გ) პროცესი, რომლის დროსაც პიროვნება ხელახლა ითვისებს იმ ღირებულებებსა და ნორმებს, რომლებიც ეხმარება მას ამა თუ იმ საზოგადოებაში ფუნქციონირებისათვის;

დ) მექანიზმი, რომლის საშუალებითაც თითოეული ადამიანი თავს იმკვიდრებს სოციუმში და საკუთარ ინდივიდუალურ ღირებულებებს მაქსიმალურად ახორციელებს.

(1) 14. 1991 წლის 31 მარტს საქართველოს მოსახლეობამ ----- გზით გამოხატა ერთსულოვანი ნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით. ამის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

ა) ლუსტრაციის;

ბ) პლებისციტის;

გ) მორატორიუმის;

დ) რეფერენდუმის.

(1) 15. კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი მეთოდია -----, რომლის დროსაც მესამე, მიუკერძოებელი მხარე კონფლიქტის პროცესში მოდავე მხარეებს ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევაში ეხმარება.

ა) პრობაცია;

ბ) მედიაცია;

გ) კონსულტაცია;

დ) დისკრიმინაცია.

(1) 16. რა მოვლენა არის ნაჩვენები მოცემულ ილუსტრაციაზე?



- ა) სოციალური იზოლაცია;
- ბ) სამოქალაქო აქტივიზმი;
- გ) ეკონომიკური ინვესტიცია;
- დ) პოლიტიკური პლურალიზმი.


(1) **17. გაეცანით სიტუაციას და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვას:**

საქართველოს ერთ-ერთ სოფელში მოხდა ფიზიკური დაპირისპირება ადგილობრივ მაცხოვრებელსა და სასულიერო პირს შორის. თვითმხილველების თქმით, დაპირისპირება მოხდა რელიგიური ორგანიზაციის მიერ სოფლის მკვიდრის კუთვნილი მიწის მითვისების გამო. სიტუაციის განმუხტვისათვის ადგილობრივებმა გამოიძახეს საპატრულო პოლიცია. პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს მხოლოდ დაზარალებული ადგილობრივი მაცხოვრებელი, ხოლო სასულიერო პირს სიტყვიერი გაფრთხილება მისცეს. პოლიციის თანამშრომლების თქმით, სასულიერო პირის დაპატიმრება ჩრდილს მიაყენებდა მის რეპუტაციას და არ იქნებოდა სწორი საქციელი.

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული სამართლებრივი კუთხით?

- ა) პოლიციის მხრიდან სოფლის მაცხოვრებლის დაპატიმრება არასწორია, რამდენადაც მას არაფერი კანონსაწინააღმდეგო არ ჩაუდენია;
- ბ) პოლიციელი, პირველ რიგში, ხელმძღვანელობს საკუთარი აღმსარებლობით და ის სინდისის მიხედვით უნდა მოქმედებდეს;
- გ) პოლიციამ თანაბარი ზომები უნდა მიიღოს ნებისმიერი კანონდამრღვევი მოქალაქის მიმართ, განურჩევლად მისი საქმიანობისა, ვინაიდან კანონის წინაშე ყველა თანასწორია;
- დ) პოლიციის ქმედება სწორი იყო, რამდენადაც რელიგიურ ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული საკონსტიტუციო ხელშეკრულება არ აძლევს სამართალდამცავებს სასულიერო პირის დაკავების საშუალებას.

- (1) 18. დიაგრამაზე რეგიონების მიხედვით მოცემულია იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც პარტნიორის / მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ განაცხადეს (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017):



რომელი მსჯელობა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

- ა) ფიზიკური ძალადობის ყველაზე ნაკლები პროცენტული მაჩვენებელი იმერეთში, გურიასა და კახეთში გვხვდება;
- ბ) ყველა რეგიონში ემოციური ძალადობის წილი აღემატება როგორც სექსუალურ, ისე ფიზიკურ ძალადობას;
- გ) სექსუალური ძალადობის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ქვემო ქართლში გვხვდება;
- დ) მცხეთა-მთიანეთში ფიზიკური ძალადობა ნაკლებადაა გავრცელებული, ვიდრე სხვა რეგიონებში.

(1) **19. დავალებაში მოცემულია საქართველოში 20-24 წლის ასაკის ქალთა ადრეული ქორწინების მონაცემები გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ საქართველოში 2018-2019 წლებში ჩატარებული კვლევიდან:**

- გამოკითხულ ქალთა 14% დაქორწინებული იყო 18 წლამდე;
- 18 წლის ასაკამდე დაქორწინებული იყო ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ქალთა 8%, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები ქალების 25%;
- 18 წლის ასაკამდე ქორწინებაში მყოფ ქალთა 47%-ს მიღებული აქვს დაწყებითი ან არასრული საშუალო განათლება, სრული საშუალო განათლება - 25%-ს, პროფესიული განათლება - 11%-ს;
- 18 წლის ასაკამდე ქორწინებაში მყოფ ქალთა 33% მიეკუთვნება კეთილდღეობის ინდექსის უღარიბეს ნაწილს, ხოლო უმდიდრეს ნაწილში ანალოგიური მაჩვენებელი 4%-ს შეადგენს.

რომელი მსჯელობა შეესაბამება მონაცემებს?

- ა) ადრეულ ქორწინებაში მყოფ ქალთა უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს მიღებული;
- ბ) გამოკითხულ ქალთა უმრავლესობა სრულწლოვანების მიღწევამდე იყო დაქორწინებული;
- გ) ადრეულ ასაკში ქორწინების გამოცდილება სოფელში მცხოვრები ქალების უფრო დიდ წილს აქვს, ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლების მაცხოვრებლებს;
- დ) კეთილდღეობა გავლენას ახდენს ქორწინების გადაწყვეტილებაზე და რაც უფრო მაღალია კეთილდღეობის ინდექსი, მით უფრო იზრდება ადრეული ქორწინების მაჩვენებელიც.

(1) 20. ყურადღებით გაეცანით ამონარიდს სტატიიდან და უპასუხეთ კითხვას:

მიუხედავად იმისა, რომ ალკოჰოლის მოხმარება ბევრს უვნებლად მიაჩნია, ის საკმაოდ საზიანოა და ხშირად დამოკიდებულებასაც იწვევს. კვლევების მიხედვით განისაზღვრა დამოკიდებულების მკაფიო სიმპტომები: ალკოჰოლისადმი ძლიერი სწრაფვა, ალკოჰოლზე უარის თქმის კონტროლის დაკარგვა, ფიზიკური სიმპტომები და უფრო და უფრო მეტი ალკოჰოლის მიღების ჩვევა, ანუ მის მიმართ ტოლერანტულობა. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ალკოჰოლის მიმართ დამოკიდებულება სამიდან ხუთ კვირამდე ინტენსიურ მოხმარებას მოსდევს. შესაბამისად, ის ადვილად მისაჩვევ ნივთიერებად ითვლება.

2018 წელს გამოქვეყნებული სამედიცინო ჟურნალი „ლანცეტის“ მიხედვით, 2016 წელს თითქმის 3 მილიონი გარდაცვალების ფაქტი უკავშირდებოდა ალკოჰოლის მოხმარებას. კვლევის მიხედვით, ალკოჰოლის მოხმარება არა მხოლოდ გულსისხლძარღვთა სისტემის პრობლემებს ქმნის, არამედ შესაძლოა კიბოს გამომწვევიც იყოს. შესაბამისად, რისკის თავიდან ასაცილებლად საერთოდ ალკოჰოლის მიღებაზე უარის თქმაა საჭირო.

მიუხედავად ამისა, მსოფლიოში არსებობს ალკოჰოლის მოხმარების დიდი ტრადიცია, რომლის შეცვლაც ძალიან რთულია. სხვადასხვა კულტურის ანალიზით დადგინდა ალკოჰოლის მოხმარების ერთგვარი საშუალო სტანდარტი, რაც გულისხმობს დღეში 10 გრამი სუფთა ალკოჰოლის მიღებას. ეს სტანდარტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება, თუმცა ყველა ქვეყანა მას არ იზიარებს.

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა ფაქტი და არა მოსაზრება?

- ა) ალკოჰოლის მიღება უვნებელია, ვინაიდან მას ბევრი ადამიანი მოიხმარს და უვნებლად მიაჩნიათ;
- ბ) ალკოჰოლის მოხმარება სამიდან ხუთ კვირამდე ვადაში იწვევს მის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას;
- გ) მსოფლიოს ყველა კულტურა მიიჩნევს, რომ 10 გრამი სუფთა ალკოჰოლის ყოველდღიურად მიღება იწვევს ჯანმრთელობის პრობლემებს;
- დ) არსებობს კვლევები, რომლებითაც დგინდება, რომ ალკოჰოლის მიღებისგან თავშეუკავებლობა, მისი უფრო და უფრო მეტი დოზით მიღების სურვილი ალკოჰოლზე დამოკიდებულების ნიშნებია.

(1) **21. გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ კითხვას:**

„ბრბო პირველ რიგში არის ჯგუფი, სადაც ყველა კლასის დანალექია წარმოდგენილი. ამიტომ არის ასეთი ადვილი, აგვერიოს ბრბო „ხალხში“, რომელიც აგრეთე მოიცავს საზოგადოების ყველა შრეს. მაშინ როდესაც ყველა დიდ რევოლუციაში ხალხი იბრძვის ნამდვილი წარმომადგენლობისთვის, ბრბო ყოველთვის მოითხოვს „ძლიერ კაცს“, „დიად ლიდერს“. ბრბოს სძულს საზოგადოება, რომლისგანაც ის გარიყულია, ისევე, როგორც პარლამენტი, სადაც ის წარმოდგენილი არ არის. ამდენად, პლებისციტი, რომლის მეშვეობითაც თანამედროვე ბრბოს ლიდერებმა ასეთ შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს, ძველი ხელსაწყოა იმ პოლიტიკოსებისა, რომლებიც ბრბოს ეყრდნობიან.“

ჰანა არენდტი, „ტოტალიტარიზმის საფუძვლები“.


ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?

- ა) პარლამენტი არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელშიც საზოგადოების ყველა ფენაა წარმოდგენილი;
- ბ) ძლიერი ლიდერი დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოს მართვაში, რამდენადაც მას ზურგს ბრბო უმაგრებს;
- გ) პლემბისციტი არის პირდაპირი დემოკრატიის ხელსაწყო, რომლითაც ხალხი საკუთარი აზრის ყველაზე ცხადად დაფიქსირებას ახერხებს;
- დ) ხალხისათვის პოლიტიკური ბრძოლა წარმოადგენს ბრძოლას მეტი წარმომადგენლობისათვის.

ინსტრუქცია

რუკის ანალიზი (№22-24)

დავალებაში მოცემულია მსოფლიო რუკა, რომელიც ასახავს ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელს. მას ახლავს სამი კითხვა არჩევითი პასუხებით. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს.



1. კანადა; 2. ა.შ.შ.; 3. ჩილე; 4. ბრაზილია; 5. არგენტინა; 6. გაერთიანებული სამეფო;
 7. ნორვეგია; 8. იტალია; 9. უკრაინა; 10. ეგვიპტე; 11. საქართველო; 12. თურქეთი;
 13. ირანი; 14. ყაზახეთი; 15. რუსეთი; 16. ინდოეთი; 17. მონღოლეთი; 18. ჩინეთი;
 19. იაპონია; 20. მადაგასკარი.

(1) **22. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი:**

ა) იაპონიაში უფრო დაბალია, ვიდრე ჩინეთში;

ბ) ინდოეთში უფრო მაღალია, ვიდრე იტალიაში;

გ) ბრაზილიაში უფრო მაღალია, ვიდრე რუსეთში;

დ) საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე ნორვეგიაში.

- (1) **23.** რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელ ჩამონათვალშია დალაგებული ქვეყნები სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებლის ზრდის მიხედვით?
- ა) ჩილე, ირანი, მონღოლეთი;
 - ბ) უკრაინა, არგენტინა, კანადა;
 - გ) ყაზახეთი, გაერთიანებული სამეფო, თურქეთი;
 - დ) მადაგასკარი, ამერიკის შეერთებული შტატები, ეგვიპტე.

(1) **24. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობა არ არის მართებული?**

ა) ცენტრალურ ამერიკაში სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით დაბალია;

ბ) აფრიკის სამხრეთ ნაწილში სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე აღმოსავლეთ აზიაში;

გ) დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში;

დ) აფრიკის კონტინენტზე სიცოცხლის ხანგრძლივობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჩრდილოეთ აფრიკაში ფიქსირდება.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№25)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

(2) **25. შეუსაბამეთ სამართლის დარგები მათი რეგულირების სფეროებს:**

I. რეგულირების სფეროები	II. სამართლის დარგები
<p>ა) სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქმიანობა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა დიდი ნაწილი.</p> <p>ბ) ადამიანების, საზოგადოების, ორგანიზაციების, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენა, აღკვეთა, თავიდან აცილება და დამნაშავეის დასჯა.</p> <p>გ) გარემოს დაცვასთან, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები.</p> <p>დ) კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო, პირადი ურთიერთობები, სახელმწიფოსა და ორგანიზაციათა შორის ქონებრივ-სახელმშეკრულებო ურთიერთობები.</p> <p>ე) ადგილობრივი მმართველობის, მერიების, გამგეობების, საკრებულოების საქმიანობა.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სისხლის სამართალი; 2. ადმინისტრაციული სამართალი; 3. მუნიციპალური სამართალი; 4. სამოქალაქო სამართალი; 5. ეკოლოგიური სამართალი.

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№26)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და გაასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი გასწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალეზა N 26

ადამიანის უფლებები

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი ადამიანის უფლებების აღიარება და მათი დაცვაა. ადამიანების უფლებებით აღჭურვას კი, თავის მხრივ, თან ახლავს გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც თითოეულ მოქალაქეს ეკისრება.

ადამიანის უფლებების გააზრებას და მათ პრაქტიკაში დანერგვას თავისი ისტორიული განვითარების საფეხურები აქვს. შესაბამისად, გამოყოფენ ადამიანის უფლებათა სამ თაობას: I. სამოქალაქო-პოლიტიკურს; II. სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულს; III. ე. წ. ინდივიდუალურ უფლებებს, რომლებიც ბოლო თაობის უფლებებს განეკუთვნება. მაგალითად, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება, ასევე, არჩევნებში მონაწილეობის უფლება კლასიფიცირდება, როგორც მესამე თაობის უფლება. ხოლო განათლების უფლება განეკუთვნება სოციალურ უფლებათა ჯგუფს, შესაბამისად, მეორე თაობის უფლებათა.

პირველად საქართველოში ადამიანის უფლებები კონსტიტუციურად აღიარებულ იქნა 1920 წელს. თუმცა, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული ამ კონსტიტუციის მოქმედება მალევე შეწყდა ოსმალეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად. დამოუკიდებელი

საქართველოს მოქალაქეებმა ადამიანის ძირითადი უფლებები 1989 წლის კონსტიტუციით ხელმეორედ აღიარეს. მას შემდეგ დადგა ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების განვითარების საჭიროება და ამოქმედდა სახალხო დამცველის ინსტიტუტი. სახალხო დამცველის თანამდებობაზე აირჩევა მხოლოდ საქართველოს მოქალაქე და მას ირჩევს საქართველოს პრეზიდენტი. სახალხო დამცველის ოფისში ფუნქციონირებს სხვადასხვა საკითხზე სპეციალიზებული რამდენიმე სტრუქტურული დანაყოფი. მათ შორის ერთ-ერთია გლობალიზაციის ცენტრი, რომელიც რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვაზე მუშაობს. ეს ცენტრი დიდ როლს ასრულებს აგორაფობიასთან ბრძოლის საკითხში, რაც უცხოთა შიშს ნიშნავს.

საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ნატოს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. აღნიშნული დოკუმენტი მიღებულია 1945 წელს. ადამიანის უფლებების დარღვევას საერთაშორისო საზოგადოება დიდი სერიოზულობით ეკიდება. თუკი რომელიმე ქვეყანა ან მისი ცალკეული წარმომადგენელი შემჩნეულია უფლებათა დარღვევაში, საერთაშორისო საზოგადოების წევრებს შეუძლიათ მას დაუწესონ კოლექტიური ან ინდივიდუალური ვაკანსიები. ამას გარდა, შესაძლებელია სხვა სახელმწიფოებმა გაწყვიტონ ასეთი ტიპის სახელმწიფოსთან დიპლომატიური კავშირი და მოაქციონ ის პოლიტიკურ იზოლაციაში იმ მომენტამდე, სანამ ის ადამიანის უფლებათა დარღვევას არ შეწყვეტს.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე](#)

ინსტრუქცია

სასკოლო პროექტი (№27)

დავალებაში მოცემულია პროექტის არასრული მონახაზი (აღწერილია პრობლემა და განსაზღვრულია პროექტის მიზანი). დაწერეთ ორი განსხვავებული ამოცანა და მათი განხორციელების გზები. გაითვალისწინეთ, ამოცანები უნდა შეესაბამებოდეს აღწერილ პრობლემასა და პროექტის მიზანს. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება N 27

პრობლემის აღწერა/სიტუაციის ანალიზი:

ადგილობრივ თემში გახმაურდა არასრულწლოვანთა მიერ შინაური ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობის, დასახიჩრების შემთხვევები. სკოლასთან ახლოს მდებარე სკვერში იმატა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ძაღლების რაოდენობამ. საკვებისა და თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ცხოველები ხშირად პრობლემებს უქმნიან ადგილობრივ მაცხოვრებლებს. არაერთხელ გამოხატეს უკმაყოფილება სკვერში მოთამაშე პატარა ბავშვების მშობლებმაც.

პროექტის მიზანი:

თემში შინაური თუ მიუსაფარი ცხოველების მიმართ ჰუმანური მოპყრობის კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ამოცანები:

(დაწერეთ კონკრეტული მიმართულებები პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად)

I ამოცანა:

II ამოცანა:

განხორციელების გზები:

(დაწერეთ კონკრეტული ნაბიჯები, აქტივობები დასახული ამოცანების გადასაჭრელად)

I ამოცანის განხორციელების გზა:


II ამოცანის განხორციელების გზა:

ინსტრუქცია

ილუსტრაციის ანალიზი (№28)

გაეცანით დავალებაში მოცემულ ილუსტრაციას. გაანალიზეთ იგი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება N 28



- (1) 28.1 რა მოვლენას ასახავს ილუსტრაცია?
- (1) 28.2 იმსჯელეთ ილუსტრაციით გამოცემული მოვლენის განმაპირობებელ მიზეზებზე.
- (2) 28.3 რა გავლენას ახდენს ილუსტრაციაზე ასახული მოვლენა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. იმსჯელეთ ამ პრობლემის სოციო-პოლიტიკურ შედეგებზე.

ინსტრუქცია

არგუმენტირებული მსჯელობა (№29)

გაეცანით სადისკუსიო თემას და დაასახელეთ არგუმენტები. გაითვალისწინეთ, თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი, კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული, ხოლო აზრი - დასრულებული. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება N 29

1995 წლიდან საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში შედიოდა 235 წევრი. 2003 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად მათი რაოდენობა შემცირდა და გახდა 150.

- A. დაასახელეთ პარლამენტართა რაოდენობის შემცირების მომხრეთა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არგუმენტი.
- B. დაასახელეთ პარლამენტართა რაოდენობის შემცირების მოწინააღმდეგეთა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არგუმენტი.


ინსტრუქცია

წყაროს ანალიზი (№30)

დავალებაში მოცემულია რამდენიმე წყარო, რომლებსაც ახლავს როგორც დავალებები არჩევითი პასუხებით, ასევე ღია კითხვები. გაეცანით მოცემულ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალება N 30

წყარო N1



წყაროებზე გადასვლა: [2](#) [3](#) [4](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.1](#) [30.2](#) [30.3-30.7](#)

წყარო N2

„ცხადია, რომ აბსოლუტური მონარქია, რომელიც ზოგიერთი ადამიანის მიერ მსოფლიოში ერთადერთ მმართველობად მიიჩნევა, შეუსაბამოა სამოქალაქო საზოგადოებასთან, და, შესაბამისად, საერთოდ ვერ იქნება სამოქალაქო მმართველობის ფორმა.

სამოქალაქო საზოგადოების მიზანი არის ის, რომ თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას ბუნებითი მდგომარეობის ის შეუსაბამობები, რომლებიც გამომდინარეობს იქიდან, რომ ადამიანი საკუთარი თავის მსაჯულია. [სამოქალაქო საზოგადოება ამ მიზანს ესწრაფვის] იმით, რომ ქმნის აღიარებულ ხელისუფლებას, რომლისადმი მიმართვაც ყველას შეუძლია ზარალისა თუ კონფლიქტის შემთხვევაში და ვისი მორჩილებაც საზოგადოების ყველა წევრს ევალება.

სადაც კი ადამიანებს არ ჰყავთ ისეთი ხელისუფლება, რომელსაც საჩივრით მიმართავდნენ და გადაჭრიდნენ ერთმანეთში დაპირისპირებას, იქ ეს ადამიანები ჯერ კიდევ ბუნებით მდგომარეობაში იმყოფებიან. და ასევე ყველა აბსოლუტური ძალაუფლების მქონე მთავარი იმათთან მიმართებაში, ვინც მის დაქვემდებარებაშია. ვინაიდან ის თავად ფლობს ყოველგვარ ძალაუფლებას, როგორც საკანონმდებლოს, ასევე აღმასრულებელს, ამიტომ მსაჯულიც აღარ არსებობს, და არავის შეუძლია რომელიმე ინსტანციაში საჩივრის შეტანა, სადაც განაჩენს სამართლიანად, მიუკერძოებლად და ძალმოსილად გამოიტანდნენ, და სადაც მოსალოდნელი იქნებოდა მთავრის ქმედებით ან მისი განკარგულებით გამოწვეული ზარალის კომპენსაცია და არამართლზომიერი ქმედებისაგან დახსნა.“

ჯონ ლოკი, „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე“, 1690 წელი.

წყარო N3

„არ იქნებოდა სამართლიანი, რომ ერთი ყოველთვის ხელმძღვანელობდეს, ხოლო მეორე ემორჩილებოდეს, არამედ ხელმძღვანელობაცა და ქვეშევრდომობაც რიგრიგობით უნდა იყოს. აი, ესაა კანონიერება, ხოლო კანონი - ეს წესრიგია. უმჯობესია, რომ ბატონობდეს კანონი და არა რომელიმე ერთი მოქალაქე. ამავე კანონის მიხედვით, თუ უკეთესი იქნება, რომ სახელმწიფოს მართავდეს რამდენიმე მოქალაქე, ისინი დანიშნულ უნდა იქნენ კანონის მცველებად და კანონის გამტარებლებად. აუცილებელია, რომ იყოს ვინმე სახელმწიფოს ხელმძღვანელი, მაგრამ უსამართლობა იქნებოდა, რომ ის ყოფილიყო ერთი ვინმე, მაშინ, როდესაც ყველანი თანასწორნი არიან.“

მაგრამ თუ ვინმე ამბობს, რომ კანონს არ შეუძლია გადაწყვიტოს ყველა საკითხი, ამის გადაწყვეტა არც ადამიანს შეუძლია. კანონი აძლევს ხელმძღვანელ პირებს აუცილებელი მოვლენების ცოდნას, ასწავლის სამართლიანი განაჩენის გამოტანას და მის თანმიმდევრულ გატარებას ცხოვრებაში, შეცდომების გასწორებას, თუ გამოცდილება აჩვენებს, რომ შესწორებული სჯობს არსებულს.

ის ვინც ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს უნდა მართავდეს გონება, ის მოუწოდებს, რომ სახელმწიფოს მართავდეს კანონები და ღმერთი, ხოლო ვინც მოუწოდებს, რომ სახელმწიფოს მართავდეს ადამიანი, ის მოითხოვს მმართველობაში აგრეთვე ცხოველის შემოყვანას. ვნება და მრისხანება ცხოველური თვისებებია და ის ამახინჯებს მმართველ პირებს, თუნდაც ისინი საუკეთესო ადამიანები იყვნენ.“

არისტოტელე, „პოლიტიკა“, ძვ. წ. IV საუკუნე.

წყარო N4

„თავისუფალ ქვეყანას დესპოტიზმისაგან არაფერი განასხვავებს ისე თვალნათლივ, როგორც კანონის უზენაესობის სახელით ცნობილი დიადი პრინციპების დაცვა. თუ საქმის ტექნიკური მხარის განხილვას თავს ავარიდებთ, ეს ნიშნავს, რომ მთავრობა ნებისმიერ ქმედებაში შეზღუდულია წინასწარ დაწესებული და გაცხადებული კანონმდებლობით - წესებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან, წინასწარ განისაზღვროს, როგორ გამოიყენებს ხელისუფლება თავის ძალაუფლებას ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში.

შესაბამისად, თითოეული კონკრეტული პიროვნება სწორედ ამ ცოდნაზე დაფუძნებით შეძლებს საკუთარი საქმიანობის დაგეგმვას. ამრიგად, თამაშის ცნობილი წესების ფარგლებში, ყოველი ცალკეული პირი თავისუფალია, ესწრაფვოდეს საკუთარ მიზნებს და იყოს დარწმუნებული, რომ ხელისუფლების ძალაუფლება მისი ძალისხმევის გასაქარწყლებლად არ იქნება გამოყენებული.“

ფრიდრიხ ოგიუსტ ფონ ჰაიეკი, „გზა ბატონყმობისკენ“, 1945 წელი.

(1) **30.1 ჯონ ლოკის ტექსტის მიხედვით:**

- ა) სამოქალაქო საზოგადოების პირობებში სამართლიანობის მიღწევა შეუძლებელია, რამდენადაც ცალკეულ მოქალაქეებს სახელმწიფოს მართვის გამოცდილება არ გააჩნიათ;
- ბ) აბსოლუტური მონარქია ერთადერთი მმართველობის ფორმაა, სადაც ადამიანს ჰარმონიულად ცხოვრება შეუძლია;
- გ) სასამართლოს მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა მოსამართლეთა მაღალ კომპეტენციაზეა დამოკიდებული;
- დ) სამოქალაქო საზოგადოების არსებობის ერთ-ერთი პირობაა საზოგადოების ყველა წევრის მიერ აღიარებული ხელისუფლებისადმი მორჩილება.

წყაროებზე დაბრუნება: [1](#) [2](#) [3](#) [4](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.2](#) [30.3-30.7](#)

(1) **30.2 არისტოტელეს ტექსტის მიხედვით:**

- ა) სახელმწიფო გონების მიერ დამტკიცებული კანონებით უნდა იმართებოდეს, თუნდაც იგი ვერ წყვეტდეს ყველა საკითხს;
- ბ) კანონის უზენაესობა გარანტირებული ვერ იქნება, თუკი სახელმწიფოში მმართველები პერიოდულად შეიცვლებიან ხოლმე;
- გ) ვინაიდან კანონი მუდმივმოქმედი რამაა, მასში შესწორების შეტანა არ არის მართებული;
- დ) მმართველთა ერთადერთი ფუნქცია კანონთა დაცვაა და არა კანონშემოქმედება.

- (2) 30.3 ჯონ ლოკის ტექსტის მიხედვით რა ტიპის მდგომარეობაა „ბუნებითი მდგომარეობა“ და რა არის სამოქალაქო საზოგადოების მიზანი?
- (2) 30.4 არისტოტელეს ტექსტის მიხედვით, დაასახელეთ რა საფრთხის წინაშე დგება სახელმწიფო, თუკი ის გონებით არ იმართება. იმსჯელეთ, რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ამან სახელმწიფოს.
- (1) 30.5 ჯონ ლოკის ტექსტის მიხედვით, რა პრობლემა იჩენს თავს, თუკი „ყველანაირი ძალაუფლება“ მხოლოდ ერთი პიროვნების ხელში მოექცევა?
- (2) 30.6 N1 წყაროს მიხედვით, როგორია საქართველოში სასამართლოს მიმართ მოქალაქეთა დამოკიდებულება. იმსჯელეთ, რა შეიძლება იწვევდეს ამ დამოკიდებულებას.
- (2) 30.7 ჰაიეკის ტექსტის მიხედვით, რაში ეხმარება მოქალაქეს კანონის უზენაესობა და რა კავშირშია ის მოქალაქის თავისუფლებასთან?

წყაროებზე დაბრუნება: [1](#) [2](#) [3](#) [4](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.1](#) [30.2](#)

2022

ერთიანი ეროვნული გამოცდები

სამოქალაქო განათლების ტესტის შეფასების სქემა

დავალება №	სწორი პასუხი	მაქსიმალური შეფასება
1.	დ	1
2.	ბ	1
3.	ა	1
4.	დ	1
5.	ა	1
6.	დ	1
7.	ბ	1
8.	ა	1
9.	ბ	1
10.	ბ	1
11.	დ	1
12.	დ	1
13.	ბ	1
14.	დ	1
15.	ბ	1
16.	ა	1
17.	ბ	1
18.	ბ	1
19.	ბ	1
20.	დ	1
21.	დ	1
22.	ბ	1
23.	ბ	1
24.	ბ	1

25.	<table border="1" data-bbox="578 121 1018 247"> <tr> <td>I.</td> <td>ა</td> <td>ბ</td> <td>გ</td> <td>დ</td> <td>ე</td> </tr> <tr> <td>II.</td> <td>2</td> <td>1</td> <td>5</td> <td>4</td> <td>3</td> </tr> </table> <p>5 სწორი პასუხი - 2 ქულა; 4 ან 3 სწორი პასუხი - 1 ქულა; 2 ან ნაკლები სწორი პასუხი - 0 ქულა.</p>	I.	ა	ბ	გ	დ	ე	II.	2	1	5	4	3	2																								
I.	ა	ბ	გ	დ	ე																																	
II.	2	1	5	4	3																																	
26.	<p>ყოველი მართებულად შესწორებული შეცდომა ფასდება 1 ქულით</p> <p><u>ნიმუში:</u></p> <table border="1" data-bbox="371 525 1222 1365"> <thead> <tr> <th></th> <th>შეცდომა</th> <th>სწორი პასუხი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>26.1</td> <td>ინდივიდუალურ</td> <td>კოლექტიურ</td> </tr> <tr> <td>26.2</td> <td>მესამე</td> <td>პირველი</td> </tr> <tr> <td>26.3</td> <td>1920 წელს</td> <td>1921 წელს</td> </tr> <tr> <td>26.4</td> <td>ოსმალეთის</td> <td>რუსეთის</td> </tr> <tr> <td>26.5</td> <td>1989 წლის</td> <td>1995 წლის</td> </tr> <tr> <td>26.6</td> <td>პრეზიდენტი</td> <td>პარლამენტი</td> </tr> <tr> <td>26.7</td> <td>გლობალიზაციის</td> <td>ტოლერანტობის</td> </tr> <tr> <td>26.8</td> <td>აგორაფობიასთან</td> <td>ქსენოფობიასთან</td> </tr> <tr> <td>26.9</td> <td>1945 წელს</td> <td>1948 წელს</td> </tr> <tr> <td>26.10</td> <td>ნატოს</td> <td>გაეროს</td> </tr> <tr> <td>26.11</td> <td>ვაკანსიები</td> <td>სანქციები</td> </tr> </tbody> </table> <p><u>შენიშვნა:</u> შეფასების დროს სწორ პასუხში 1 ქულა იწერება შეცდომათა მოცემული ნუმერაციის შესაბამისად, აპლიკანტის პასუხების ფურცელზე შეცდომათა თანმიმდევრობის მიუხედავად.</p>		შეცდომა	სწორი პასუხი	26.1	ინდივიდუალურ	კოლექტიურ	26.2	მესამე	პირველი	26.3	1920 წელს	1921 წელს	26.4	ოსმალეთის	რუსეთის	26.5	1989 წლის	1995 წლის	26.6	პრეზიდენტი	პარლამენტი	26.7	გლობალიზაციის	ტოლერანტობის	26.8	აგორაფობიასთან	ქსენოფობიასთან	26.9	1945 წელს	1948 წელს	26.10	ნატოს	გაეროს	26.11	ვაკანსიები	სანქციები	11
	შეცდომა	სწორი პასუხი																																				
26.1	ინდივიდუალურ	კოლექტიურ																																				
26.2	მესამე	პირველი																																				
26.3	1920 წელს	1921 წელს																																				
26.4	ოსმალეთის	რუსეთის																																				
26.5	1989 წლის	1995 წლის																																				
26.6	პრეზიდენტი	პარლამენტი																																				
26.7	გლობალიზაციის	ტოლერანტობის																																				
26.8	აგორაფობიასთან	ქსენოფობიასთან																																				
26.9	1945 წელს	1948 წელს																																				
26.10	ნატოს	გაეროს																																				
26.11	ვაკანსიები	სანქციები																																				
27.	<p>I. პრობლემის მოგვარება: მაქსიმალური 3 ქულა</p> <p>3 ქულა: პრობლემის გადასაჭრელად დასახულია ორი დამოუკიდებელი, განსხვავებული, ეფექტიანი მიდგომა, რომლითაც მაქსიმალურად მიიღწევა მიზანი, პასუხი სრულია, აზრი მკაფიოდ იკითხება;</p> <p>2 ქულა: პრობლემის გადასაჭრელად დასახულია ორი დამოუკიდებელი/განსხვავებული მიდგომა, მაგრამ არასრულია ან არ არის მაქსიმალურად ეფექტიანი, აზრი მკაფიოდ იკითხება;</p> <p>1 ქულა: პრობლემის გადასაჭრელად დასახულია მხოლოდ ერთი ეფექტიანი მიდგომა;</p>	4																																				

	<p>0 ქულა: დავალებაში მოცემული ამოცანები და განხორციელების გზები არ შეესაბამება მიზანს / არარეალისტურია / ზოგადია, არ იძლევა მისაღწევი შედეგის განსაზღვრის შესაძლებლობას / პასუხი არ არის მოცემული.</p> <p>II. პროექტის სტრუქტურის ცოდნა: მაქსიმალური 1 ქულა</p> <p>მიჯნავს ამოცანებს განხორციელების გზებისგან, ამოცანა და განხორციელების გზები მკაფიოდ არის ფორმულირებული, წერია მათთვის განკუთვნილ ველში, ჩანს პროექტის შედეგის საბაზისო უნარები;</p> <p>(არ ფასდება თუ პირველი კრიტერიუმი შეფასდა 0 ქულით)</p>	
<p>28.</p>	<p>28.1 მაქსიმალური 1 ქულა</p> <p>1 ქულა: მოცემულია მართებული, ადეკვატური პასუხი;</p> <p>0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული/ არასწორია/ არ შეესაბამება დავალების პირობას.</p> <p>28.2 მაქსიმალური 1 ქულა</p> <p>1 ქულა: მოცემულია მკაფიოდ ჩამოყალიბებული მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ და ტერმინოლოგიურ შეცდომას და სრულად პასუხობს დავალების მოთხოვნას;</p> <p>0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას.</p> <p>28.3 მაქსიმალური 2 ქულა</p> <p>2 ქულა: მოცემულია მკაფიოდ ჩამოყალიბებული მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ და ტერმინოლოგიურ შეცდომას და სრულად პასუხობს დავალების მოთხოვნას;</p> <p>1 ქულა: მსჯელობა თანმიმდევრულია, არ შეიცავს ფაქტობრივ და ტერმინოლოგიურ შეცდომას, მაგრამ არასრულია;</p> <p>0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული/ არ შეესაბამება დავალების პირობას.</p>	<p>4</p>
<p>29.</p>	<p>მაქსიმალური 2 ქულა</p> <p>A. თითოეული მტკიცებითი არგუმენტი -1 ქულა</p> <p>მაქსიმალური 2 ქულა</p> <p>B. თითოეული უარყოფელი არგუმენტი - 1 ქულა</p> <p>სადისკუსიო თემის შესაბამისი კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, დასრულებული აზრის მქონე არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება თითო ქულით;</p> <p>(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი).</p>	<p>4</p>

	<p>30.7 მაქსიმალური 2 ქულა</p> <p>2 ქულა: მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, გამართული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა. სრულად პასუხობს დავალების პირობას, არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს.</p> <p>1 ქულა: მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. პასუხი არასრულია, ორი პირობიდან მხოლოდ ერთს პასუხობს.</p> <p>0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული / არ შეესაბამება დავალების პირობას.</p> <p><i>შენიშვნა: ღია დავალებებში მოცემული მსჯელობა, რომელიც შეიცავს სიძულვილის ენას, დისკრიმინაციულ შეხედულებებს, არ შეფასდება.</i></p>	
	<p>ტესტის მაქსიმალური ქულა</p>	<p>60</p>

დავალება 1 - 24.

	ა	ბ	გ	დ		ა	ბ	გ	დ		ა	ბ	გ	დ
1.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	9.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	17.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	10.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	18.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	11.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	19.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	12.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	20.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	13.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	21.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	14.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	22.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	15.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	23.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	16.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	24.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

დავალება 25.

I	ა	ბ	გ	დ	ე
II					

დავალება 26.

	შეცდომა	სწორი პასუხი
26.1		
26.2		
26.3		
26.4		
26.5		
26.6		
26.7		
26.8		
26.9		
26.10		
26.11		

დავალება 27.

I ამოცანა:

II ამოცანა:

I ამოცანის განხორციელების გზა:

II ამოცანის განხორციელების გზა:

დავალება 28.

28.1

28.2

28.3



დავალება 29.

A

I

II

B

I

II

დავალება 30.

ა ბ გ დ

30.1

30.2

30.3 _____

30.4 _____

30.5 _____

30.6 _____

30.7 _____
